საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი დაარსდა 2019 წელს, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, კოლეჯმა ავტორიზაცია გაიარა 6 წლის ვადით.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში UG კოლეჯის) მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, პროფესიული სტუდენტის აღჭურვა თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და თვითრიალიზაციას.

UG კოლეჯის დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე:

- პროფესიონლიზმი
- ჰუმანურობა
- თანასწორობა
- სამართლიანობა
- ინოვაციებისკენ სწრაფვა

კოლეჯის ხედვა და სწრაფვაა რომ ის იყოს მრავალპროფილური კოლეჯი საქართველოს ბაზარზე, კოლეჯის კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნაირიანები როგორც ადგილობრივს ისე საერტაშორისო ბაზარზე, იყვნენ სამართლიანები და ჰქონდეთ თანასწორობის განცდა, UG კოლეჯის მიზანია რომ მის კურსდამთავრებულს გააჩნდეს სამუშაოს შესრულების სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და გამოცდილება.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. კოლეჯის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივითაა უზრუნველყოფილი.

კოლეჯის პერსონალი მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს წარმოადგენს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.

UG კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პრაქტიკოს მასწავლებლებთან.

კოლეჯი სრულადაა აღჭურვილი პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აქ არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი სწავლება, ხოლო იქ მომუშავე პერსონალმა შეძლოს ხარისხიანი ცოდნის გაცემა.

საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, კოლეჯს გააჩნია ურთიერთ თანამშრომლობის მემორნადუმები, ვებ ტექნოლოგიების, კომპიუტერული ქსელის და სისტემები, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული მემორანდუმების საფუძველზე საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს ექნებათ საშუალება, რომ კონკრეტული მოდულებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ დასაქმდნენ პროფესიის მიმართულებით და ასევე სწავლების პერიოდიში ქონდეთ საშუალება რომ გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა კომპანიებში.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს 2019 წლიდან მიღებული აქვს ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ხოლო 2020 წელს მან პირველად განახორციელა სტუდენტების მიღება, კოლეჯს თავიდან ქონდა სამი მიმართულება:

- ვებ ტექნოლოგიები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

ამჟამად შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი უფლებამოსილია გაანხორციელოს შემდეგი მიმართულების პროფესიული პროგრამები:

- ვებ ტექნოლოგიები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (დუალური)
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (დუალური)

2020 წლის სექტემბერში კოლეჯმა განახორციელა ადგილის/ფართის ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იყო არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით. ამჟამად კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჯანო ბაგრატიონის N6-ში და მის მფლობელობაშია 746.81კვ ფართი.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს ავტორიზაცია მიღებული აქვს 45 პროფესიულ სტუდენტზე, საიდანაც ამჟამად კოლეჯში ირიცხება 36 პროფესიული სტუდენტი. სამომავლოდ დაგეგმილია გაიზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და ასევე მოხდეს ახალი პროფესიული პროგრამეის დამატება.

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის გაზრდისათვის კოლეჯმა 2020 და 2021 წლებში განაახლა კომპიუტერული ტექნიკა და ასევე ინფრასტრუქტირა.

2020 წელს მიუხედავად პანდემიისა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა შეძლო დისტანციურ რეჟიმში გაეგრძელებინა სასწავლო პროცესი და მან სრულად მოახერხა გამოწვევებთან ადაპტირება, კოლეჯმა სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე შეძლო და მოახერხა ყველა სტუდენტისათვის საჭირო ინფრასტრქუტურისა და ინვენტარის მიწოდება, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის უწყვეტ რეჟიმში განხორციელებას.

პანდემიის მიუხედვად საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა 2021 წლის ივნისის თვეში დაიმატა ორი ახალი მიმართულება და გახდა ერთ-ერთი კერძო პროფესიული კოლეჯი, რომელმაც შეძლო დუალური პროგრამის განხორციელება და პირველივე წელს შეძლო სტუდენტების მიღება გამოცხადებული ვაკანტური ადგილების მიხედვით.

დუალური პროგრამების განხორციელებისათვის კოლეჯმა გააფორმა ორი მემორნადუმი, რომელიც თანახმადაც დუალური სწავლების მიმართულებით მყოფი სტუდენტები 51% და მეტს გაივლიან პრაქტიკის ობიექტზე, აღნიშნული მიმართულებით კოლეჯს აქვს მემორნადუმი GT Group-თან და SkyHi-თან.

კომპანიებთან ერთად შემუშავდა აკადემიური კალენდარი, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს დროში გაწერილი გრაფიკი აქვთ თუ რომელი მოდულის რომელი შედეგი სად უნდა გაიარონ.

კოლეჯში არსებული ადამინური რესურსის შეფასება - ამ დროისათვის, დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ ჩაუტარდათ ტრენინგი კერძო ტრენერის მიერ და ასევე იგეგმება მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და გადასამზადებელი აქტიობების განხორციელება.

განათლების ხარისხის განვითარება - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო სტრუქტურებისაგან ორგანიზებულ ტრენინგებში, მისი ძირითადი მიზანია რომ რაც შეიძლება მოკლე დროში გახდეს ერთ-ერთი დიდი კერძო პროფესიული კოლეჯი, სწორედ ამისათვის მოხდა გარკვეული შიდა ცვლილებები, რაც ემსახურებოდა ახალი ხარისხის მართვის მენეჯერის ვაკანსიის გამოცხადებას და კვალიფიციური კადრის აყვანას. კოლეჯში მოხდა გარკვეული შიდა ნორმატიული წესებისა და რეგულაციების განახლება და თავსებადობა ხარისხის ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან.

ასევე საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა ჩაატარა ბაზრის კვლევა ახალი პროფესიული პროგრამების დამატების მიზნით, კვლევა ეფუძნებოდა **საოფისე საქმის, ღონისძიების ორგანიზებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის** პროგრამების დამატებას.

ნებისმიერ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობა, ამისათვის საჭიროა შრომის ბაზრის ტენდენციების გამოლენა და შესაძლო კადრების დასაქმება შესაბამისი მიმართულებით.
იმისათვის რომ შეიქმნას ახალი პროფესიული პროგრამები უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესაბამისი მიმართულებით კვლვეა და აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმოს სამომავლო შესაძლო პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის საკითხის დაყენება.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი, საქართველოს უნივერსიტეტის მიერაა დაფუძნებული, რომელიც დღეს რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტია, რომელსაც გააჩნია 6 სკოლა და რამოდენიმე ათეული დეპარტამენტი ან/და სამსახური.

საქართველოს უნივერსიტეტიდან მოხდა საკითხის ინიცირება, რომელსაც დაუდგა საჭიროება რომ მოახდინოს **საოფისე საქმის, ღონისძიების ორგანიზებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის** მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადება.

ასევე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ინიცირებით მოხდა სხვა ორაგნიზაციების გამოკითხვა, როგორცაა UG სკოლა, UG ბაღი და UG ლიმესი.

კვლევის ამოცანები

- საოფისე საქმის, ღონისძიების ორგანიზებისა და პროგრამული უზრუნვეყოფის დეველოპინგის ეფექტურობის შესწავლა დასაქმების კუთხით
- აღნიშნული პროგრამების შესახებ მოლოდინების შესწავლა

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის - სატელეფონო გამოკითხვის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდრო ინფორმაციის მოპოვების გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კითხვაზე თუ რა ფორმით უზრუნველყოფდნენ საკუთარი ორგანიზაციის პროფესინალური კადრით დაკომპლექტებას შედეგები გადანაწილდა შემდეგი სახით:

- არსებული კადრების გადანაწილებით - 12%
- არსებული კადრების გადამზადებით გარე რესურსის დახმარებით - 30 %
- ახალი კვალიფიციური კადრის აყვანით - 58%



- გამოკითხვის შედეგად ასევე გაირკვა, რომ გამოკითხულდა 78% სურს, რომ კადრების გადამზადება მოხდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ ან/და შერჩეული კადრი იყოს აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებული, ასეთი იყო დაახლოებით 12 %, ხოლო დანარჩენმა 10% განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ამჯობინებს რომ კადრი თავად გადაამზადოს.



საქართველოს უნივერსიტეტმა თითქმის 100% თანხმობა განაცხადა, რომ მოახდინოს ყველა კადრის პრაქტიკული ნაწილისა და დასაქმების კუთხით აყვანა, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი განცხადებით უნივერსიტეტი ძალიან დიდია, აქვს ბევრი სკოლა თუ დეპარტამენტი და მუდმივადაა საჭირო ასისტენტისა თუ ღონისძიების ორგანიზებისათვის აუცილებელი უნარ ჩვევების მქონე თანამშრომლის ყოლა. საქართველოს უნივერსიტეტის განცხადებით მას აქვს შესაბამისი რესურსი და სურვილი რომ თუ სხვა ორგანიზაციების მიერ არ იქნება მოთხოვნა დაყენებული, ის სრულად მოახდენს არსებული სტუდენტების როგორც დასაქმების ასევე პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფას.

აღნიშნული კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ორი მიმართულებით საკმაოდ ძნელია კადრების მოძიება, მათ ძირითადად უხდებათ სხვა პროფესიის სტუდენტების დასაქმება და შემდეგ მათი გადამზადება შესაბამისი მიმართულებებით, რაც ერთის მხრივ არის ფინანსური ზარალი კომპანიისათვის, ხოლო მეორეს მხრივ არსებული კადრები არიან მოკლე პერიოდიდთ რადგანაც მათ საბოლოოდ იმ პროფესიით სურთ დასაქმება რომელიც მათ აირჩიეს.

რაც შეეხება პროგრამული უზრუნვეყოფის დეველოპინგს, კომპანიების განცხადებით აღნიშნული მიმართულებით მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად კადრების სერიოზული დეფეიციტია ბაზარზე, სტუდენტების დიდი ნაწილი ელოდება სწავლის დასრულებას და შემდეგ იწყებს სამუშაოს ძიებას, პროფესიული სწავლებით ამ მიმართულებით გადამზადებული პირი იქნება სრულად კვალიფიციური და ექნება შესაბამისი ცოდნა. გასათვალიწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სფეროზე მოთხოვნა ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება.
გამოკითხულთა 62% განაცხადა, რომ მათ ჭირდებათ აღნიშნული მიმართულების კადრი და ისინი მზად არიან მოახდინონ პროფესიული სტუდენტის დასაქმება.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა მიმდინარე წელს ვერ შეძლო აღნიშნული სამი პროგრამის დამატება, რაც გამოწვეული იყო არასაკმარისი პროფესიული მასწავლებლების არსებობითა და ასევე გამოწვეული იყო იმ რიგი უზუსტობებით, რომელიც პროგრამის შემუშავებასა და ადაპტაციასთან იყო დაკავშირებული.

2020 წლის მიღების სტატისტიკა

2020 წლის მიღება						
N	პროგრამა	კვოტა	გამოცხდებული ადგილების რაოდენობა	ჩასარიცხ აპლიკანტთა რაოდენობა	ჩარიცხვა	სტუდენტთა რაოდენობა 2021 წლისათვის
1	ვებ ტექნოლოგიები	15	15	14	12	5
2	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება	15	12	3	3	2
3	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	15	12	10	8	5

2021 წლის მიღების სტატისტიკა

2021 წლის მიღება					
N	პროგრამა	კვოტა	გამოცხდებული ადგილების რაოდენობა	ჩასარიცხ აპლიკანტთა რაოდენობა	ჩარიცხვა
1	ვებ ტექნოლოგიები	15	5	149	10
2	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება	10	8	17	1
3	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	10	5	35	5
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება დუალური	5	5	56	4
5	კომპიუტერული ქსელი და სისტემები დუალური	5	5	26	4

აღნიშნულ სტატისტიკაზე დაყრდნობით საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სამომავლო გეგმაა, რომ გაიზარდოს ადგილების რაოდენობა ვებტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების მიმართულებით.

პარტნიორობა კერძო და ადგილობრივ სექტორთან

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომელთან ერთადაც გეგმას და წარმართავს განათლების პოლიტიას, რათა შემდგომში საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დახვეწას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ხშირად ხდება სხვადასხვა სახის აქტიობების გატარება, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული სერვისების სამსახური ანხორციელებს, ამ მიმართულებით UG კოლეჯს აქვს მემორანდუმი გაფორმებული საქართველოს უნივერსიტეტთან რომელიც აღნიშნული სამსახურის საშუალებით ანცხორიცელებს პროფესიული კოლეჯის სტუდენტების ცნობადობის ამაღლებას დასაქმების მიმართულებით, აღნიშნული სამსახური ანხორციელებს ტრენინგს სახელწოდებით „5 ნაბიჯი წარმატებული დასაქმებისათვის“ და ასევე წელიწადში ორჯერ მართავს დასაქმების ფორუმს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება უშალოდ შეხვდნენ კომპანიის წარმომადგენლებს. მიუხედავად პანდემისაა, დასაქმების ფორუმი ჩატარდა მიმდინარე წელსაც, სადაც კოლეჯმა ასევე ითანამშრომლა HR Hub Media-სთან რომელმაც გარე სივრცეში, საქართველოს უნივერსიტეტის დახმარებით ჩაატარა დასაქმების ფორუმი, ხოლო ტრენინგების ციკლი გასული წლის განმავლობაში ჩატარდა დისტანციურად.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ყველა სტუდენტი წასული იყო სტაჟირებაზე და ასევე მათი უმრავლესობა დასაქმებულია ისე რომ ამან ხელი არ შეუშალოს მათ სწავლებას.

ბიუჯეტი:

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ძირითადი შემოსავალი არის ვაუჩერული დაფინანსება, რომლითაც იფარება მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხელფასები, ხოლო დანარჩენი ხარჯები, როგორიცაა მატერიალური რესურსი, მასალა ნედლეული, კომუნალური ხარჯები ინტერნეტის მომსახურება და სხვა, იფარება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, რომლის შესახებაც მემორანდუმია გაფორმებული საქართველოს უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს შორის.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფეესიული კოლეჯის 2020 წლის შემოსავალი ჯამში შეადგენს 89681.86 ლარს, ხოლო გასავალი 59097.05 ლარს.

კოლეჯის განვითარების დასაბუთება:

1. **სოციალური საჭიროება -** კოლეჯი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან კოლეჯის ხედვაშიც სწორედ ესაა ასახული, რომელიც გულისხმობს რომ კოლეჯის ყველა კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს სამართლიანობისა და თანასწორობის განცდა.
2. **რეგიონის ეკონომიკური საჭიროება -** კოლეჯი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ერთ ერთ ყველაზე სტრატეგიულ ადგილას და ეკონომიკურად განვითარებად რეგიონში. ეს ქმნის წინაპირობას, რომ ის განვითარდეს და გამოუშვას კვალიფიციური კადრი.
3. **საგანმანათლებლო საჭიროებები -** კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები აკმაყოფილებს რეგიონში ამ მიმართულებით მოთხოვნადი სამუშაოს განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია მჭიდრო კავშირების ქონა დამსაქმებლებთან და მათი მოთხოვნების გაზიარება დარგის მიმართულებით.